

- [მთავარი](#)
- [მეურნე](#)
- [ჩვენ შესახებ](#)
- [დაგვიკავშირდით](#)
- [PDF არქივი](#)

- [Armenian](#)

- 

- 

- [არჩევნები 2014](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [განათლება](#)

- [სამართალი](#)
- [შემთხვევა](#)
- [საზოგადოება](#)
- [რეპორტაჟი](#)
- [ფოტო](#)
- [ვიდეო](#)
- [გადაცემები](#)



ნაპირსამაგრი მოეწყო, თუმცა, ხერთვისს დატბორვის საფრთხე მაინც ემუქრება

[მთავარი](#) → [სიახლე](#) 09.09.2014

რატომაა კონფიდენციალური დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ ხერთვისში მდინარე მტკვარზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება საჭირო არ არის და სოფლის დატბორვის საფრთხე არ არსებობს;



ფარავნის ჰესის მშენებლობა ისე დასრულდა, რომ ხერთვისში მდინარე მტკვარზე ნაპირსამაგრი არ გააკეთეს. ნაპირსამაგრი სამუშაოები ფარავნის ჰესის მშენებელმა ფირმამ „ჯორჯიან ურბან ენერჯიმ“ სოფლიდან მოშორებით, მდინარე მტკვრისა და ფარავნის შესართავთან მოაწყო.

ფარავნის ჰესის მშენებლობის გამო მდინარე ფარავნის ნაწილი მტკვარში გადააგდეს. ამიტომ ამის შემდეგ სოფელ ხერთვისის დატბორვის საშიშროება გაჩნდა. ადგილობრივები აცხადებენ, რომ აქ მდინარე გაზაფხულობით ისეც დიდდება და მას შემდეგ, რაც წყალი დაემატება, ეს საფრთხე უფრო გაიზრდება. ფარავნის მტკვარში გადაგდების შემდეგ სოფლის დატბორვის საშიშროებას ხედავენ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივაშიც“.

„ჯორჯიან ურბან ენერჯის“ დირექტორი ნოდარ კურტანიძე, დაახლოებით სამი თვის წინ, „სამხრეთის კარიბჭესთან“ აცხადებდა, რომ „ეს საკითხი (უნდა გაკეთდეს თუ არა ნაპირსამაგრი ხერთვისში „ს.კ“) შესწავლის სტადიაშია და მას სპეციალური ჰიდრო დიზაინის კომპანია სწავლობს“.

კურტანიძის განცხადებით, კომპანიამ მუშაობა დაასრულა და აღმოჩნდა, რომ ხერთვისში აღნიშნული სამუშაოების ჩატარება საჭირო არ არის, მაგრამ, რადგან ადგილობრივები ითხოვენ, მისმა კომპანიამ ნაპირსამაგრი მაინც გააკეთა. თუმცა ეს სამუშაოები არა სოფელში, არამედ ფარავნისა და მტკვრის შესართავთან გაკეთდა (სოფლის ქვემოთ).

ნაპირსამაგრი რომ ნამდვილად გაკეთდა, ამას სოფელ ხერთვისის რწმუნებული ვაჟა ჭიკაიძე გვიდასტურებს და ამბობს, რომ 100 მეტრზე 190 მანქანა და 1000 მეტრკუბი ქვა-ლორდი დაიყარა.

„ეს სამუშაოები დაახლოებით ერთი თვის წინ დასრულდა და კარგადაც გაკეთდა, - აცხადებს იგი და ამატებს, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, სოფელი კვლავ დატბორვის საფრთხის წინაშე რჩება, - იმას, რაც გაკეთდა, სოფელთან არანაირი კავშირი არ აქვს, უკეთესი იქნებოდა

ეს ვარძიის მხრიდან ხერთვისის შემოსასვლელში, ანუ იმ ადგილზე გაეკეთებინათ, სადაც ნაპირი ძალიან დაბალზეა, აქვეა სოფლის სასაფლაო და საცხოვრებელი სახლები“.

სოფლის დატბორვის საფრთხეზე საუბრობენ ხერთვისელებიც.

„ის რაც იქ გააკეთეს, სოფელს საფრთხისგან ვერ დაიცავს“, - ამბობს ქეთევან ქავთარაძე.

„სამხრეთის კარიბჭე“ იმ დოკუმენტით დაინტერესდა, სადაც ჰიდრო დიზაინის კომპანიის მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით, სოფელში ნაპირსამაგრის გაკეთება საჭირო არ აღმოჩნდა, თუმცა, კურტანიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტი კონფიდენციალურია, მისი გასაჯაროების უფლება არ აქვს და ვერც „სამხრეთის კარიბჭე“ გამოითხოვს მას წერილობით ორგანიზაციიდან.

კითხვაზე, რატომაც აღნიშნული დოკუმენტი კონფიდენციალური, გვპასუხობს: „ეგ სახელმწიფოს დავალება არ არის, ჩვენი მიცემული დავალებაა. სახელმწიფოს დავალება რომ ყოფილიყო, მაშინ მისი გასაჯაროება სავალდებულო იქნებოდა. ახლა ამის უფლება არ მაქვს“.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დათო ჭიპაშვილი აცხადებს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, რომელიც წარმოადგენს ამ პროექტის ძირითად დამფინანსებელს, ეს დოკუმენტი არათუ საჯარო უნდა იყოს, ინვესტორს აღნიშნული დოკუმენტის საჯარო განხილვაც კი უნდა მოეწყო და აესახა მართვის გეგმების განახლებულ ვერსიაში.

„ნაპირსამაგრის მოწყობა ყოველგვარი შესწავლის გარეშე როგორ შეიძლება?! სად არის პროექტი, სადაც უნდა ეწეროს, რა რისკები არსებობს და რისი გაკეთება არის საჭირო და როგორ?! - კითხულობს ჭიპაშვილი და ამატებს - ამ კომპანიის მიერ უნდა მომხდარიყო აღნიშნული საკითხის დეტალური შესწავლა, რისთვისაც აუცილებლად უნდა შეემუშავებინა მონიტორინგისა და მოდელირების გეგმები და შესაბამისად აესახა სამოქმედო გეგმაშიც, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიღწეულ შეთანხმებაში“.

ფარავნის ჰესის მშენებლობა უკვე დასრულდა. ამჟამად იქ მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. ამის შემდეგ ჰესის ტესტირება დაიწყება და ობიექტი ექსპლუატაციაში შევა.

